მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | კერძო სკოლა შპს „ოაზისი" |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 209475735 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | გლდანი ნაძალადევი |
| მისამართი | დადიანის 32/რკინიგზის 30 |
| საფოსტო ინდექსი | 0180 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | 0azisi.edu.ge. |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | Nairadolidze@mail.ru |
| ტელეფონი/ფაქსი | 2661612 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | იოსებ დოლიძე |
| ტელეფონი | 599 55 91 86; 599 92 64 53. |
| ელ-ფოსტა | Nairadolidze@mail.ru |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 32 |
| სერტიფიცირებული პედაგოგი | 3 |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | სსსმ მოსწავლე არ ჰყავთ |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი | N 55. 17.08.2016. |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 256 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**დაწესებულებაახორციელებს**

- დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ☐

**ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | ბრძანება N 220; 26.03.2018. |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | იანინა გიგიბერია - ჯგუფის თავმჯდომარე.<br>ცირა ნიკოლაშვილი - ჯგუფის წევრი |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 29-30 მარტი. 2018 წელი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 23.04.2018 წელი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

### I. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1 სასკოლოსასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულების მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიის მიხედვით, სკოლისათვის პრიორიტეტულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების აღზრდა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა მიმართულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი პიროვნების აღზრდისაკენ და თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლაში მოქმედებს 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2017 წლის 8 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>• მისია;<br>• 2017-2018 სასწავლო წლის კალენდარი;<br>• საათობრივი ბადე;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნების ჩამონათვალი;<br>• სადამრიგებლო პროგრამა;<br>• საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;

- შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით;
- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- მოსწავლეთა შეფასების სისტემა;
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის სახით მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია: რუსული ენა - მეორე კლასიდან. ასევე, გაზრდილია ინგლისური ენის სწავლების კვირეული დატვირთვა მეხუთე - მეექვსე კლასებში.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებული სწავლების წრეს. (I-VIII კლასები). საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები რჩებიან სკოლაში სურვილისა და საჭიროების მიხედვით, დამრიგებლის მეთვალყურეობის ქვეშ. მასწავლებლების მხრიდან ხორციელდება მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინება და დამატებითი მომსახურება.

2017-2018 სასწავლო წლისათვის არჩეული სპორტის სახეობებია:

ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის დაგეგმილია მოძრავი სპორტული თამაშები.

არჩევითი საგნებია:

მეათე კლასში - მსოფლიო კულტურა;

მეთერთმეტე კლასში - ხელოვნების ისტორია;

მეთორმეტე კლასში - საქართველოს ეთნოგრაფია.



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით (08.09.2017);<br>• პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1. 08.09.2017.);<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• კათედრების ოქმებით;<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა-ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიური აღზრდის, უცხოური ენებისა და დაწყებითი კლასების კათედრები.<br>სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის მუშაობის დებულება, სადაც გაწერილია კათედრის ფუნქციები. კათედრების პორტფოლიოებში თავმოყრილია საგნის თემატური გეგმები და კათედრების სხდომების ოქმები.<br>მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით. შემაჯამებელ დავალებას ახლავს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება, შეფასების რუბრიკა, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი და რეკომენდაციები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | **მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**<br>შემაჯამებელ დავალებებს ერთვის გასწორებული ტესტის ნიმუშები.<br>სკოლაში დამრიგებლები მუშაობენ დებულების შესაბამისად. თითოეულ დამრიგებელს აქვს პორტოლიო, რომელშიც ინახება სადამრიგებლო პროგრამა. აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები. სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო საათის დროს განსახილველი თემები. პორტფოლიოში წარმოდგენილია დამრიგებელთა ანგარიშები, რომელშიც აღწერილია კონკრეტული სადამრიგებლო საათის მიზანი, თემა და მიღწეული შედეგი. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• კათედრის დებულებით;<br>• დამრიგებლების პორტფოლიოებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ზ" პუნქტი |

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში ამჟამად სწავლობს 186 მოსწავლე, რომელთათვისაც შექმნილია სწავლისა და განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობა. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. თუმცა შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია და საჭიროების შემთხვევაში მზად არის მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება / შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• ინკლუზიური განათლების კონცეფციით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი |

**1.4** სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომლის პრინციპები და მიდგომები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პირობები, გამოცდის ტიპები.<br>მოსწავლეთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეთა მშობლებისათვის. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას სკოლის შინაგანაწესისა და მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში ყოველი სემესტრის დასასრულს, სემესტრული ცოდნის შესაფასებლად, დირექციის ხელმძღვანელობით ტარდება გამოცდები ყველა საგანში. აღნიშნული არ დასტურდება სასკოლო გეგმის მიხედვით, არც სასკოლო ჟურნალების შესწავლით.<br>დირექციის განცხადებით ამ ტიპის გამოცდას აძლევენ შემაჯამებელი წერის დატვირთვას. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით;<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოებით;<br>• საკლასო ჟურნალებით;<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი |

**1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „ოაზისს“ შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მშობლის ინფორმირების წესები. მშობელთან ურთიერთობის ფორმები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და სადამრიგებლო პროგრამით.<br>მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | დროს ან კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებით. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანაწესით;<br>• დამრიგებლის დებულებით;<br>• დამრიგებლის პორტფოლიოებით;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრებით;<br>• მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი |

**1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს „განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი“ (დამტკიცებული 2016 წლის 08 სექტემბერს), სადაც გაწერილია სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. კერძოდ, ჩამოთვლილია განსახორციელებელი სამუშაოები და მონიტორინგის პერიოდები.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ორივე სემესტრის განმავლობაში ატარებს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას. შექმნილია სპეციალური კითხვარები, გამოკითხვა ანონიმურია. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეებისა და მშობლების კითხვარები. ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და გათვალისწინება სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ასევე, კერძო სკოლა შპს „ოაზისში“ სასკოლო სასწავლო გეგმის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა | გაუმჯობესება ხორციელდება მონიტორინგის შედეგების, კათედრებისა და კლასის ხელმძღვანელების მიერ შესრულებული ანგარიშების გათვალისწინებით. |
| დადასტურება/დანართი | • „განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმით";<br>• კათედრებისა და კლასის ხელმძღვანელთა ანგარიშებით;<br>• ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს „ვ" პუნქტი |

## II. მატერიალურირესურსი

**2.1** **დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:**

| | |
|---|---|
| აღწერა | კერძო სკოლა შპს „ოაზისი" მდებარეობს თბილისში, დადინის ქუჩა N 32-ში მდებარე შენობაში. შენობის მესაკუთრეა სააქციო საზოგადოება - „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა" (ID ნომერი 200010861). სკოლა განთავსებულია ქარხნის N 21 შენობა-ნაგებობის 750 კვ.მ ფართზე. სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება 2028 წლის 1 იანვრამდე.<br><br>დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: |

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | 1. თბილისი, დადიანის 32/რკინიგზის 30 — **750** |
| მიწის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი | 01.12.12.011.038. |
| დადასტურება/დანართი | • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შენობის მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე.<br><br>სკოლაში 18 საკლასო ოთახია. სკოლას აქვს გამოყოფილი საბუნებისმეტყველო კაბინეტი დამხმარე ოთახით, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი, სპორტის გაკვეთილების ჩასატარებელი დიდი ზომის ოთახი (იყენებენ სააქტო დარბაზადაც), სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ბუღალტრის ოთახი (სადაც განთავსებულია სამედიცინო დახმარების კარადა), დირექტორის მოადგილის კაბინეტი, დირექტორისა და საქმის მწარმოებლის კაბინეტი, სასადილო, მოსასვენებელი რესურს ოთახი სსსმ მოსწავლისათვის.<br><br>სკოლის საკუთრებაშია 300 ერთადგილიანი და 53 ორადგილიანი მერხი, ასევე, 391 სკამი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | საკლასო ოთახებში განთავსებულია 198 ინდივიდუალური მერხი სკამით. ასევე, მასწავლებლის მაგიდები - სკამებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არის 13 ორადგილიანი მერხი. დანარჩენი მერხები და სკამები სკოლას დასაწყობებული აქვს.<br><br>საკლასო ოთახები აღჭურვილია სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებით;<br>• შესყიდვის ქვითრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შენობაში აქვს ფართი, რომელიც განთავსებულია მეოთხე სართულზე და იყენებენ სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. ასევე, სასკოლო ღონისძიებების დროს გამოიყენება სააქტო დარბაზად.<br>სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: ფრენბურთის და კალათბურთის ბურთები, ბაგირი, სავარჯიშო ლეიბები, მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, ჭადრაკის ინვენტარი, სავარჯიშო რგოლები.<br>სკოლის ეზოში არის 242 კვ.მ ფართი, რომლით სარგებლობის თაობაზეც სკოლის ადმინისტრაციას ფართის მფლობელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................



მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | **მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**<br>ამჟამად, აღნიშნული ფართის მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობაში გახსნილია რკინის საამქრო და ფართი გამოყენებულია რკინის მასალისა და დამზადებული რკინის კონსტრუქციების განსათავსებლად. ამის გამო, დღეისათვის, აღნიშნული ფართის სპორტულ მოედნად გამოყენება შეუძლებელია.<br>სპორტის გაკვეთილები, ძირითადად, ტარდება მეოთხე სართულზე განთავსებულ ფართში და სკოლის მიმდებარედ არსებულ სპორტულ მოედანზე, რომელიც სკოლას არ ეკუთვნის. აღნიშნულ მოედანზე მოსახვედრად მოსწავლეებს უწევთ სკოლის ტერიტორიის დატოვება.<br>სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობების (ფეხბურთი და კალათბურთი) სწავლება შეუძლებელია სკოლის სარგებლობაში არსებულ ფართებზე. |
| დადასტურება/დანართი | • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრებით;<br>• შესყიდვის ქვითრებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

**დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები**

| | |
|---|---|
| აღწერა | კერძო სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი, |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | **მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**<br>რომელიც განთავსებულია მეოთხე სართულზე, ლაბორატორიის ოთახში.<br><br>ლაბორატორიის სარგებლობაშია ორი გამჭოლი ოთახი: ერთში განთავსებულია ლაბორატორიის სრული კომპლექტი, სადემონსტრაციო მაგიდითა და სკამებით. ასევე, ლაბორატორიაში არის ონკანი, განიავება ხორციელდება ფანჯრის საშუალებით; მეორე ოთახი აღჭურვილია ორადგილიანი მერხებითა და სკამებით.<br><br>შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის ქვითრებით;<br>• სასაქონლო ზედნადებებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. გასათბობად იყენებენ გაზის გამათბობლებს. საჭიროების შემთხვევისათვის შეძენილი აქვთ გენერატორი.<br>ყველა სართულზე არის ოთხი სველი წერტილი - 2 გოგონებისათვის, 2 ბიჭებისათვის - სულ 12 სველი წერტილი. ამათგან მეორე სართულზე არის სსსმ მოსწავლისათვის |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | მოწყობილი თითო სველი წერტილი (ბიჭებისა და გოგონებისათვის). |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის ქვითრებით;<br>• გადახდის ქვითრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 1887 მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად.<br>გამოწერილია პერიოდიკა და ხელმისაწვდომია ყველასათვის. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი.<br>ბიბლიოთეკისათვის (კონკრეტულად მის საკუთრებაში) არ არის გამოყოფილი კომპიუტერი. გასაუბრებით გამოვლინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია ლეპტოპის შეტანის შემთხვევაში ისარგებლოს უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi). ვიზიტის დროს გადამოწმდა შეტანილი ლეპტოპის ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ბიბლიოთეკის დებულებით;<br>• შესყიდვის ქვითრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას მზად არის მიიღოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირი. აქვს მოსასვენებელი რესურს ოთახი. მოსწავლეებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, სკოლას შეძენილი აქვს კიბეებზე დასამაგრებელი პანდუსები, ასევე, შეძენილი აქვს რკინის კონსტრუქციები, ეტლით მოსარგებლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის მოწყობილი სველი წერტილის ადაპტირებისათვის. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• მშობლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთიკომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 8 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი. სულ, მოსწავლეთა სარგებლობაში არის 10 ერთეული. სკოლას, გადაწყვეტილებით N 55 ( 17.08.2016.), ავტორიზაცია მიენიჭა 256 მოსწავლეზე.<br>სკოლის დირექტორის და დირექტორის ორი მოადგილის კაბინეტებში განთავსებულია თითო პერსონალური კომპიუტერი (სულ 3), ხოლო ორი პერსონალური კომპიუტერი არის ბუღალტრის კაბინეტში (2).<br>ასევე, სკოლას შეძენილი აქვთ ოთხი კომბაინი და ერთი პროექტორი.<br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. კომუნიკაციისათვის იყენებენ ელექტრონულ ფოსტას. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის ქვითრებით;<br>• ვებ-გვერდით - oazisi.edu.ge<br>• დომენის ხელშეკრულებით. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.<br>დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................



მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **2007** წლის **29** აგვისტოს **№1143** ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | ა) დაწესებულებაში ყველა სართულზე, წესების დაცვით, დამაგრებულია ცეცხლმაქრები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ცეცხლმაქრების ნაწილის გადამუხტვის საჭიროება. დაწესებულების ადმინისტაციამ წარმოადგინა სახანძრო ცეცხლმაქრების დატუმვისათვის გადახდილი თანხის ქვითარი (**დანართი N1**).<br>ბ) მე-2 მე-3 და მე-4 სართულებზე. წესების დაცვით, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც დამზადებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. საევაკუაციო გეგმას თან ახლავს დეტალური ინსტრუქცია.<br>გ) სკოლას შემუშავებული აქვს ექიმის დებულება - ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. ექიმის პოზიციაზე დასაქმებულია სამედიცინო უნივერსიტეტის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელიც დაწესებულებას ტოვებს 14:00 საათის შემდეგ. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოყო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეითავსებს ექთნის ფუნქციებს **(დანართი N2)**.<br>დ) სკოლაში წესრიგს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ დირექციის წევრები, დამრიგებლები და მასწავლებლები.<br>ე) შენობის სამივე სართულზე, წესების დაცვით, დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა პერიმეტრის კონტროლს მე-2, მე-3 და მე-4 სართულებზე. შენობის პირველ სართულზე, რომლსაც სკოლა იყენებს სკოლის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე მოსახვედრად, მხოლოდ, გავლის უფლებით, დამაგრებულია 3 მეგაპიქსელიანი ვიდეოკამერა. ვიდეო კამერა აკონტროლებს შემოსასვლელს და კიბის უჯრედის ნაწილს. პირველი სართულის იმ ნაწილს, რომელიც არ კონტროლდება, სარგებლობს შენობის მეპატრონე (ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა).<br>სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს სტანდარტის შესაბამისი 1 ვიდეოკამერა (3 მეგაპიქსელიანი), რომელიც სრულად ვერ უზრუნვეყოფს სკოლის ეზოს და შემოსასვლელი კიბეების კონტროლს. ასევე, კონტროლის მიღმა რჩება ეზოს კუთხეში, თავღიად დარჩენილი, მანქანის შესაკეთებელი ორმო. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყონ გარე პერიმეტრის სრული კონტროლი და უსაფრთხოების ზომების გაძლიერება. კერძოდ, მის სარგებლობაში არსებული ეზოს გამიჯვნა შენობის დანარჩენი ტერიტორიისაგან, ეზოს კუთხეში, თავღიად დარჩენილი, მანქანის შესაკეთებელი ორმოს დახურვა, კიბის უჯრედების კონტროლი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• საევაკუაციო გეგმებით;<br>• დებულებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა |
|---|---|
| | • შესყიდვის ქვითრებით. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება, წესდება და შინაგანაწესი. შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის წესები, მათი ფუნქციები და მოვალეობები, ასევე ადმინისტრაციის ვალდებულებანი. დეტალურადაა გაწერილი სამუშაო დრო და პირობები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შვებულების მიცემის წესი, ხანგრძლივობა, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური წარმოების წესი, დისციპლინური წარმოების სახეები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები და სხვა. |
| დადასტურება/დანართი | • დებულებით;<br>• შინაგანაწესით;<br>• წესდებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა |
|---|---|
| | ქვეპუნქტი. |

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი განვითრების სტრატეგიული გეგმა. განსაზღვრულია სკოლის პრიორიტეტული მიზნები. დოკუმენტში დროში გაწერილია კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პერიოდები.<br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას. |
| დადასტურება/დანართი | • 2017-2018 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;<br>• სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.9 დაწესებულებაშიმიმდინარეობსგამოცემულიაქტებისადაკორესპონდენციისაღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა „ოაზისს“ აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი სისტემა, სადაც დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესები. ყველა ჟურნალის წარმოება მიმდინარეობს სათანადო წესების დაცვით. |
| დადასტურება/დანართი | • საქმისწარმოების წესით;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს კერძო სკოლა „ოაზისში“ არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 28 პედაგოგი. 25 პედაგოგი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. 22 პედაგოგს აქვს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, 3 პედაგოგი უფროსი მასწავლებელია. სკოლაში დასაქმებულ სამ (3) პედაგოგს არ აქვს მინიჭებული მასწავლებლის სტატუსი (იხ. 3.2).<br>სკოლას ჰყავს 5 (ხუთი) აღმზრდელ-მასწავლებლი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკოლაში მოქმედ გახანგრძლივებულ ჯგუფებს. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | სკოლის ძირითადი და დამხმარე პერსონალია: დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, ბუღალტრის თანაშემწე, ექიმი, ბიბლიოთეკარი, მზარეულები, დამლაგებლები, დარაჯები.<br>სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც არის სამედიცინო უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. იგი საჭიროების შემთხვევაში ტოვებს ხოლმე სკოლას, რათა დაესწროს სასწავლო პროცესს ან პრაქტიკას უნივერსიტეტში, ან კლინიკაში. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია ეზრუნა ექთნის სკოლაში არყოფნის დროს მისი მოვალეობის შემსრულებლის პოვნაზე და ჯანმრთელობის უსაფრთხოების გაძლიერებაზე. ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ პედაგოგთან, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია **(დანართი N 2).**<br>სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სკოლაში მოქმედი „თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების წესის“ შესაბამისად. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პირადი საქმეებით;<br>• სერტიფიკატებით;<br>• E-school-ის მონაცემებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• დირექციისა და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებით;<br>• შინაგანაწესით:<br>• შპს „ოაზისი“ კერძო სკოლის თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების წესით“. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით. |

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს ,, ზოგადი განათლების შესახებ " საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა სკოლაში დასაქმებულ სამ (3) პედაგოგს არ აქვს მინიჭებული მასწავლებლის სტატუსი. ისტორიის პედაგოგი სოფიკო მეძველია შპს „ოაზისში“ დასაქმებულია 2017 წლის 15 ივნისიდან. მას დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია. ამჟამად გადის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არჩილ მუხიგული „ოაზისში“ დასაქმებულია 2016 წლის 6 სექტემბრიდან სპორტის პედაგოგად. აქვს დიპლომით მინიჭებული მწვრთნელ-მასწავლებლის კვალიფიკაცია ფეხბურთში. სკოლას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრისათვის წარდგენილი აქვს მოთხოვნა სპორტის მასწავლებლის სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით და პასუხს ელოდებიან. დავით ჯაფარიძე დასაქმებულია ჭადრაკის პედაგოგად 2018 წლის 29 იანვრიდან. მას აქვს ჭადრაკის ინსტრუქტორ-მწვრთნელის კვალიფიკაცია. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პირადი საქმეებით;<br>• ხელშეკრულებებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | „ზ" ქვეპუნქტით. |

**3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.<br>სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად (მუხლი 9) დასაქმებულთა მიმართ განსაზღვრულია შემდეგი წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება და/ან პრემიის გაცემა, სიგელის გადაცემა.<br>სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები და სასჯელები: შენიშვნა, საყვედური, სამსახურიდან დათხოვნა. |
| დადასტურება/დანართი | • კერძო სკოლა შპს „ოაზისის"შინაგანაწესით;<br>• კერძო სკოლა შპს „ოაზისის"თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების წესით" |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით. |

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას მასწავლებლებთან, აღმზრდელ-პედაგოგებთან, დირექციის წევრებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებები შრომის კოდექსის დაცვით. |
| დადასტურება/დანართი | • თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტით. |

**3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის პედაგოგები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და შექმნილია სქემაში ჩართულ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. პერიოდულად ტარდება მასწავლებლებთან შეხვედრები და სიახლეების გაცნობა. |
| დადასტურება/დანართი | • E-school-ის მონაცემებით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• შეფასების ჯგუფის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანებით (08.12.2015);<br>• შეფასების ჯგუფის სხდომის ოქმებთ;<br>• მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუებით და ფოკუს-ჯგუფებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტევიურებით გამოვლინდა, რომ მათი აზრით სკოლაში არის „ოჯახური გარემო". მოსწავლეები სკოლის ძლიერ მხარედ ასახელებენ მასწავლებლების მიერ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ სკოლის დირექციისაგან აქვთ მხარდაჭერა და შესაბამისი სამუშაო პირობები.<br>მშობლები თვლიან, რომ სკოლის მთავარი უპირატესობა არის სკოლაში შექმნილი უსაფრთხო გარემო - ყურადღებიანი დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი, რის გამოც დაცულად გრძნოვენ თავს. ექსპერტთა აზრით,<br>სკოლამ უნდა გააძლიეროს ზომები მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (იხ. 2.6.).<br>ასევე, მშობლები სკოლის პრიორიტეტად თვლიან თითოელი მოსწავლის წარმატებაზე პედაგოგების ორიენტირებას, რომლებიც დამატებითი გაკვეთილების ჩატარების ხარჯზე ცდილობენ დაბალი მზაობის (ან კონკრეტული მიზეზით სასწავლო პროგრამას ჩამორჩენილი) მოსწავლეების გაძლიერებას.<br>მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ოლიმპიადებში, სპორტულ შეჯიბრებებში, ახორციელებენ საქველმოქმედო აქციებს და თემატურ ღონისძიებებს. აღნიშნული დასტურდება ფოტო-მასალით, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერებით.<br>მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ მუზეუმებსა და თეატრებს. აწყობენ საგანმანათლებლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ექსკურსიებს. |
| დადასტურება/დანართი | • ინტერვიუები მასწავლებლებთან და დირექციასთან;<br>• სიგელები;<br>• ფოტო-მასალა;<br>• ვებ-გვერდი oazisi.edu.ge;<br>• სოციალური ქსელი Facebook „სკოლა ოაზისი". |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ" ქვეპუნქტით.<br>თანამშრომლობის სრული სურათი არ არის გამოხატული, რაც ხელს უშლის სკოლის საზოგადოების ზოგიერთი წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

თანდართული დოკუმენტაცია:

| | |
|---|---|
| დანართიN 1 | 1 (ერთ) ფურცლად. |
| დანართიN 2 | 2 (ორ) ფურცლად. |

თბილისი

23 აპრილი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................